ᲞᲚᲧᲝᲠᲒᲘᲡᲚᲘ

შეთანხმება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ევრომშენი 999“ -ს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 20 დეკემბერს გაფორმებულ №321 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ქ. ზუგდიდი *27 დეკემბერი, 2018 წელი*

ერთი მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია*** (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, მერის მოვალეობის შემსრულებლის მაიზერ ნანავას სახით და მეორე მხრივ, ***შპს „ევრომშენი 999“*** (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის დიმა ჯღამაიას სახით, მხარეთა შორის 2018 წლის 20 დეკემბერს გაფორმებულ №321 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში _ ხელშეკრულება) მე-17 მუხლის გათვალისწინებით ვთანხმდებით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული №321 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ც. დადიანის ქუჩის №3-ში, მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 10848,15 (ათი ათას რვაასორმოცდარვა ლარი და 15 თეთრი) ლარს, სამუშაოების ვადად განსაზღვრულია 20 (ოცი) კალენდარული დღე.

დროებით სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ექპერტიზის ჩატარება, რომელიც გაცემულ უნდა იქნეს მხოლოდ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით ხელშეკრულების მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით.

მუხლი 8. პუნქტი 3. _ „საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა დადგენის მიზნით მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა. (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ). საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადები არ იქნება დაკავშირებული სამუშაოების შესრულების ვადებთან. ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში“.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (სამი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან).

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი:	*შპს „ევრომშენი 999“- ის დირექტორი:*
..... /მ. ნანავა/	..... /დ. ჯღამაია/